საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირების) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება, „საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №6 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 20/02/2015 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.130.016134) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი ჩხიკვაძე**

,,დანართი №2

საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა

№	საკრებულოს წევრი (გარდა თანამდებობის პირებისა)	ყოველთვიურად განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ლარი)
	საკრებულოს წევრებისთვის (გარდა თანამდებობის პირებისა) საკრებულოსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება.	997

"